



საქმე # 330210016001237496



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

საქმე №28/982-16
“29” თებერვალი, 2016 წელი

თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები:
ეკატერინე ცისკარიძე
ლილი ტყემალაძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი - შპს „ს. ტ.“
წარმომადგენელი - ლ. ჩ.

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 05.02.2016წ. განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 05.02.2016წ. განჩინებით სარჩელი და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება არ იქნა მიღებული წარმოებაში.

განჩინება ეფუძნება შემდეგს:

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის



ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში მითითებული უნდა იყოს მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით.

- განსახილველი სარჩელის დავის ფაქტობრივ გარემოებებში სრულყოფილად და გარკვევით არ არის მითითებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. დავის არსის მოკლე მიმოხილვაში დავის ზოგადი გარემოებების მითითება არ ნიშნავს დავის ფაქტობრივი გარემოებების მითითებას, მით უფრო არც მასში დავის ფაქტობრივი გარემოებები სრულყოფილად არ არის მითითებული. ამასთან მოსარჩელე ვალდებულია როგორც სრულყოფილად ჩამოაყალიბოს სარჩელი, ისე დაურთოს მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

- წარმოდგენილი სარჩელით, მოსარჩელე მოითხოვს თანხის დაკისრებას, თუმცა სარჩელში არ არის მითითებული თუ რა სახის ვალდებულებები გააჩნდათ მხარეებს, ვალდებულებების დარღვევის დრო, დავალიანების გაანგარიშების წესი და პერიოდი. მოსარჩელე მიუთითებს რომ მოპასუხის დავალიანებიდან 43798.75 ლარიდან 15703.26 ლარზე, სასამართლომ დაამტკიცა მორიგება, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არ უთითებს სრულყოფილად ფაქტობრივ გარემოებებს, რასაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის დასაშვებობის საკითხის გასარკვევად.

- სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს მის მიერ მითითებული გარემოება შესაბამისი მტკიცებულებებით. შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია თავად მიუთითოს და წარმოადგინოს მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება.

- სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, (შეჯიბრებითობის პრინციპი) სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.



- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს სარჩელში თუ შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 448-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე: უგზავნის მოპასუხეს სარჩელის და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისთვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. მოპასუხის წერილობით პასუხში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში აღნიშნულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გამო, მოსარჩელე ვალდებულია იმგვარად ჩამოაყალიბოს სარჩელი, რომ დავასთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება ნათელი იყოს, ამასთან სასარჩელო მოთხოვნა იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ მისი დაკმაყოფილებით მიღწეული იქნას სარჩელის მიზანი, იყოს აღსრულებადი.

- ზემოთ მითითებული გარემოებების გამო წარმოდგენილი სარჩელი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, რაც ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია. შესაბამისად მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის მიღებაზე.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შემოტანილი დოკუმენტები.

- რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე მისი განხილვა დაკავშირებულია სარჩელთან. ვინაიდან მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იქნეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. მოსარჩელემ უნდა განმარტოს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღსრულების ერთადერთ ალტერნატივას რატომ წარმოადგენს მოპასუხის კუთვნილი საბანკო ანგარიში, ასევე მიიღო თუ არა ყველა ზომა მოპასუხის უძრავ-მოძრავი ქონების მოსაძიებლად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 05.02.2016წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ს. ტ.-მ“. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 26.02.2016წ. განჩინებით კერძო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში.



სააპელაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ კერძო საჩივარს, შეისწავლა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის “ე” ქვეპუნქტით, გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 05.02.2016წ. განჩინებით შპს „ს. ტ.-ს“ უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე. სასამართლოს უარი მოტივირებულია იმით, რომ დავის ფაქტობრივ გარემოებებში სრულყოფილად და გარკვევით არ არის მითითებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. სარჩელში არ არის მითითებული რა სახის ვალდებულებები გააჩნდათ მხარეებს, ვალდებულების დარღვევის დრო, დავალიანების გაანგარიშების წესი და პერიოდი. მოსარჩელე სრულყოფილად არ უთითებს ფაქტობრივ გარემოებებს და ასევე სარჩელს არ ერთვის მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილით განემარტა მოსარჩელეს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის “ე”, “ზ” და “თ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველებით სასამართლოს უარი განცხადების მიღებაზე ხელს არ უშლის მას განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა.

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება გასაჩივრებულ განჩინებაში მოცემულ მსჯელობებს და აღნიშნავს, რომ სარჩელში მითითებულია ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც ამყარებს მოთხოვნებს, ასევე სარჩელზე დართულია მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება სარჩელში მითითებული გარემოებები.

დადგენილია, რომ 04.02.2016წ. შპს „ს. ტ.-მ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ააიპ ს. გ. ფ.-ს მიმართ და მოითხოვა საკომუნიკაციო ქსელებით სარგებლობის და მომსახურების შესახებ



ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის დავალიანების თანხის დაკისრება. სარჩელში აღნიშნულია, რომ:

- მხარეთა შორის გაფორმებული იყო საკომუნიკაციო ქსელებით სარგებლობის და მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ს. ტ.“ ოპერატიულ მომსახურებას და ექსპლუატაციას გაუწევდა თავის კუთვნილ თ.-ს, გ.-ს, ქ.-ს, ს.-ს სატელევიზიო ანძებზე განთავსებულ მოპასუხის სატელევიზიო გადამცემ სისტემებს, ხოლო მოპასუხე აანაზღაურებდა გაწეული მომსახურების საფასურს დღგ-ს ჩათვლით 7800 ლარს, რომელსაც დაემატებოდა მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯი. სარჩელს ერთვის შესაბამისი ხელშეკრულება.

- მოპასუხის დავალიანება შეადგენს 43 798.75 ლარს, თუმცა ამავე მხარეებს შორის სასამართლოს მიერ დამტკიცებულია მორიგების აქტი 15 703.26 ლარზე, შესაბამისად, სარჩელის საგანს წარმოადგენს სხვაობა არსებულ დავალიანებასა და იმ თანხას შორის, რომელზედაც მიღწეული იქნა მხარეთა შეთანხმება, ანუ 28 095.59 (43798.75-15703.26=28095.59), სარჩელს ერთვის სასამართლოს განჩინება მორიგების დამტკიცების შესახებ, ასევე ამონაწერი ბუღალტრული ანგარიშსწორებიდან.

შესაბამისად, პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ სარჩელში სათანადოდ არ არის მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ასევე ის გარემოება, რომ სარჩელს არ ერთვის მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის ფარგლებში მოსარჩელემ ჩამოაყალიბა მოთხოვნა და მიუთითა ფაქტები და გარემოებები, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას. სარჩელს ასევე ერთვის მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. რაც შეეხება საკითხს, რამდენად საკმარისი შეიძლება იყოს მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებები სარჩელის დაკმაყოფილებისათვის, პალატა განმარტავს, რომ სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე სასამართლო არ ამოწმებს მტკიცებულებათა უტყუარობას და საკმარისობას. სარჩელის საფუძვლიანობის შესახებ საბოლოო დასკვნა წარმოადგენს სარჩელთან დაკავშირებით წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების რეზულტატს, რაც დასაშვებობის ეტაპზე არ წყდება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული საფუძვლით სარჩელის მიღებაზე უარის თქმის წინაპირობა.

ამასთან, რადგან სარჩელის დასაშვებობა-დაუშვებლობის წინაპირობების სრულყოფილად შემოწმება სასამართლოს უპირობო ვალდებულებაა, პალატა ამახვილებს ყურადღებას დამატებით შემდეგზე:

- როგორც სარჩელში არის აღნიშნული, მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის მათ შორის 01.09.2014წ. გაფორმებული საკომუნიკაციო ქსელებით სარგებლობასა და მომსახურებაზე #1XX ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულების დაკისრებას (იხ.: სარჩელი და 01.09.2014წ. ხელშეკრულება).

- ამასთან, თავად სარჩელიდან და მასზე თანდართული მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ 01.10.2015წ. განჩინებიდან ირკვევა, რომ მორიგება დამტკიცდა შპს "ს. ტ.-ს" სარჩელზე ა(ა)იპ "ს. გ. ფ.-ს" მიმართ ფულადი ვალდებულების



შესრულებაზე (საქმე #2/10000-15). განჩინების სარეზოლუციო ნაწილის 1.3. პუნქტის თანახმად, "მოპასუხე აცხადებს, რომ მითითებულ ვადებში სრულად დაფარავს არსებულ დავალიანებას, რითაც სრულად შეასრულებს მხარეთა შორის გაფორმებული #1XX ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს" (იხ.:01.10.2015წ. განჩინება).

- ამდენად, თავდაპირველი და ამჟამინდელი სარჩელები ერთიდაიგივე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით არის აღძრული, იდენტურია მხარეებიც. გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მსჯელობას თავდაპირველი და ამჟამინდელი სარჩელების შედარებაზე.

- შესაბამისად, სარჩელის დასაშვებობაზე ხელახლა მსჯელობისას სასამართლომ უნდა შეადაროს პირველი სარჩელის (საქმე #2/10000-15) მოთხოვნა (მისი ფარგლები) და მისი საფუძველი ამჟამად წარმოდგენილ სასარჩელო მოთხოვნას და მის საფუძველს. სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, არსებობს თუ არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სარჩელის მიღებაზე უარის (სრულად ან ნაწილობრივ) თქმის ისეთი საფუძველი, როგორიცაა სასამართლოს გადაწყვეტილების ან განჩინების არსებობა მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინებაში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივა თავის დასკვნამდე.

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით პალტას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და შპს „ს. ტ.-ს“ სარჩელი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. რადგან სარჩელის უზრუნველყოფის თობაზე განცხადების მიღებაზე უარი წარმოადგენდა სარჩელის მიღებაზე უარის თანამდევ შედეგს, განჩინება უქმდება ამ ნაწილშიც.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 385-ე, 394-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ს. ტ.-ს“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. სრულად გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 05.02.2016წ. განჩინება და სარჩელი, ასევე განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს დასაშვებობის ეტაპზე.
2. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე:

თ. ზამბახიძე

მოსამართლეები:

ე. ცისკარიძე



ლ. ტყემალაძე